12

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი № 20

„16“ ოქტომბერი 2018 წ. ქ. თელავი

თავმჯდომარეობდა : თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე დავით ღაღანიძე, სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნანა ხვისტანი, ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე შათირიშვილი, ფრაქციის ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე ლევან ლილუაშვილი, ფრაქციის ,,ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარე მაია მარკოზაშვილი, ფრაქციის ,,ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარე ტიტე დარეჯანიშვილი, ფრაქციის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ თავმჯდომარე არჩილი თვალიაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:
თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი მალხაზ ბაღუაშვილი;
თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი დიმიტრი ზაქაიძე;
საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე.

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.
2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ ანგარიშის წარდგენის გრაფიკის განსაზღვრის შესახებ.

<u>1.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსულ პროექტებზე განმარტებები გააკეთეს დ.ზაქაიძემ და მ.ბაღუაშვილმა.

„მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა.ა.ი.პ. „მოვუსმინოთ სამყაროსთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებითი სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ პროექტთან დაკავშირებით ა.შათირიშვილმა აღნიშნა, რომ კომისიის მიერ განხილულია აღნიშნული საკითხი და კარგი იქნება თუ მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს აღნიშნულ ორგანიზაციას განახორციელოს თავისი საქმიანობა და შეღავათები გაუწიოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შშმ პირებს.

ქალაქ თელავის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თელავის ცენტრალური მოედნის განაშენიანების რეგულირების გეგმის შესახებ წარმოდგენილ პროექტებთან დაკავშირებით დ.ღაღანიძემ აღნიშნა, რომ კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტები წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე წარმოდგენილი ფორმით.

ტ.გალახვარიძემ საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შესატანად წარმოადგინა საკითხი: „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ნორმატიული აქტის მიღებისათვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

გადაწყვიტეს: მიმდინარე წლის 23ოქტომბერს, 12.00 საათზე მოწვეულ იქნეს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „მოვუსმინოთ სამყაროსთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. გ.თავზერიძე
12.00სთ-დან -12.15სთ-მდე

2. ქალაქ თელავის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (მგგ) გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ.

მომხს. ნ.ბაჩიაშვილი
12.15სთ-დან -12.30სთ-მდე

3. ქალაქ თელავის ცენტრალური მოედნის განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ.

მომხს. ნ.ბაჩიაშვილი
12.30სთ-დან -12.45 სთ-მდე

4. „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ნორმატიული აქტის მიღებისათვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ტ.გალახვარიძე

12.45სთ-დან -13.00 სთ-მდე

2.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ ანგარიშის წარდგენის გრაფიკის განსაზღვრის შესახებ.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩევლის წინაშე წარსდგეს ანგარიშით, გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა განისაზღვროს საკრებულოს წევრების მიერ ანგარიშის წარდგენის გრაფიკი.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშების წარდგენის გრაფიკი განისაზღვროს 2018 წლის 30, 31 ოქტომბერს და 2018 წლის 1 ნოემბერს.

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე